„დამტკიცებულია“
ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა
ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორის,
სხალთის მთავარეპისკოპოსის სპირიდონის მიერ
20.12.2023 წლის №01-03/15 ბრძანებით

ცვლილება შევიდა: 2024 წლის 05 მარტის N01-03/04 ბრძანებით.
ცვლილება შევიდა: 2026 წლის 20 მაისის N01-03/02 ბრძანებით.

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს

წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტი’

მაგისტრატურის დებულება

ხიჭაური 2023

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. დებულების რეგულირების სფერო

წინამდებარე დებულება შემუშავებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და აწესრიგებს ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში სამაგისტრო პროგრამების განხორციელების წესს, აგრეთვე, მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის აუცილებელ მინიმალურ სტანდარტს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები; მაგისტრატურის დანიშნულება და მიზანი

1. **მაგისტრი** – მფლობელი იმ აკადემიური ხარისხისა, რომელიც პირს მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების რაოდენობის ათვისების შედეგად ენიჭება;
2. **მაგისტრანტი** – სტუდენტი, რომელიც სწავლობს მაგისტრატურაში;
3. **მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა** – აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის სწავლის შედეგებიც შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებს
4. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 60 კრედიტს, ასევე შესაძლებელია მოიცავდეს არანაკლებ 120 კრედიტს, რომელიც აერთიანებს მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ 60-კრედიტიან ნაწილებს;
5. მაგისტრატურის მიზანია ბაკალავრიატზე მიღებული ცოდნის გაღრმავება და სტუდენტის მომზადება უფრო მაღალი დონის პროფესიული ან/და კვლევითი საქმიანობისთვის.

თავი II
მაგისტრატურაში სწავლა

მუხლი 3. მაგისტრატურაში სწავლის უფლება

1. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.
2. ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით დადგენილი წესის შესაბამისად, მაგისტრატურის საგანმნათლებლო **პროგრამაზე დასაშვებ პირობად შეიძლება განისაზღვროს კონკრეტული**

მიმართულების მაგისტრის კვალიფიკაცია.

3. უნივერსიტეტის მაგისტრატურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

მუხლი 4. მაგისტრატურაში ჩარიცხვის პირობები

1. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის სტატუსის მოპოვების საფუძველია სამაგისტრო გამოცდის შედეგები, რომელიც მოიცავს გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებულ საერთო სამაგისტრო გამოცდას და ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ შიდა გამოცდას (ზეპირი ან წერილობითი - ტესტირება, წერილობითი დავალება და სხვა).
2. შიდა (ზეპირი ან წერილობითი - ტესტირება, წერილობითი დავალება და სხვა). გამოცდა ტარდება სპეციალობაში, შესაძლებელია გამოცდა ჩატარდეს პროგრამით გათვალისწინებულ კონკრეტულ უცხო ენაშიც. ზეპირი გამოცდის დროს უპირატესობა ენიჭება ინფორმაციის მკაფიოდ და ლაკონურად გადმოცემის უნარს, შესასწავლი დარგის/საქმიანობის ძირითადი პრინციპების ცოდნას, სამეცნიერო-კვლევის მეთოდების შესახებ ინფორმაციის ფლობას და მიზნობრივ აუდიტორიასთან სწორი კომუნიკაციის შესაძლებლობას.
3. უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვა წარმოებს წინასწარ გამოცხადებული მისაღები კონტიგენტის ფარგლებში - კონკურსის წესით.

მუხლი 5. საბუთების მიღება

1. მაგისტრანტობის კანდიდატმა ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მიმღებ კომისიას უნდა წარუდგინოს განცხადება უნივერსიტეტის რექტორის სახელზე, რომელშიც მითითებული უნდა იყოს მისთვის სასურველი სამაგისტრო პროგრამა. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:

ა. პირადობის დამადასტურებელი მოწმობა (პასპორტი) და მისი ასლი;

ბ. დაბადების მოწმობა და მისი ასლი;

გ. ბაკალავრის/მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომისა და დანართის დამოწმებული ასლი;

დ. ფოტოსურათი, 2 ცალი, ზომით 3X4 (სმ);

ე. სამხედრო აღრიცხვაზე მყოფი პირის მოწმობა (სამხედრო ვალდებულისათვის);

ვ. მაგისტრანტობის კანდიდატდის მიერ სამაგისტრო გამოცდებზე მიღებული ქულების ამონაბეჭდი გამოცდების ეროვნული ცენტრის საიტიდან (www.naec.ge).

2. ზემოთჩამოთვლილი დოკუმენტების არასრულად წარმოდგენის შემთხვევაში მაგისტრანტობის კანდიდატის განცხადება არ მიიღება.

მუხლი 6. გამოცდაზე დაშვების წინაპირობები

1. მაგისტრანტობის კანდიდატი, რომელიც დადგენილ ვადებში სრულად წარმოადგენს წინამდებარე დებულების მე-5 მუხლით გათვალისწინებულ საბუთებს და აკმაყოფილებს სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობებს დაიშვება ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ გამოცდაზე, რომელიც ჩატარდება ზეპირი ან წერილობითი (ტესტირება, წერილობითი დავალება და სხვა) ფორმით.
2. მაგისტრანტობის კანდიდატი გამოცდას გადის ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით შექმნილ მიმღები კომისიის წინაშე.

მუხლი 7. მაგისტრატურაში ჩარიცხვა

1. მაგისტრანტობის კანდიდატი, რომელიც წარმატებით ჩააბარებს გამოცდას, ჩაირიცხება შესაბამის სამაგისტრო პროგრამაზე. ასევე, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენის, განხილვის წესისა და მობილობის შედეგების შესაბამისად.
2. პირი მაგისტრატურაში ჩაირიცხება ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით, რომელიც უნდა განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. ასევე მაგისტრის პირად საქმეში.
3. მაგისტრატურაში ჩარიცხვის ბრძანების გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტსა და მაგისტრანტს შორის იდება სასწავლო ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება მხარეთა უფლებები და მოვალეობები.
4. მაგისტრატურაში სწავლის პერიოდში მაგისტრანტი სარგებლობს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით მინიჭებული უფლებებით, იგი ვალდებულია დაიცვას უნივერსიტეტის წესდება და სხვა შიდა აუნივერსიტეტო აქტები, შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოვალეობები.

მუხლი 8. სემესტრული რეგისტრაცია, რეგისტრაციის გაუქმება

1. მაგისტრანტი სასწავლო პროცესში მონაწილეობისა და კვლევითი სამუშაოს შესრულების უფლებას მოიპოვებს შესაბამისი სემესტრული ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაციის გავლის შემდეგ.
2. მაგისტრანტის მიერ სემესტრული რეგისტრაციის გავლა ნიშნავს მის მზადყოფნას

მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში.

3. მაგისტრანტს, რომელიც არ გაივლის სემესტრულ რეგისტრაციას, უჩერდება სტუდენტის სტატუსი და კარგავს აღნიშნულ სემესტრში კრედიტების მოპოვების უფლებას.

თავი III
სამაგისტრო პროგრამა

მუხლი 9. სამაგისტრო პროგრამის შემუშავება და წარდგენა

1. სამაგისტრო პროგრამის ინიცირებას ახდენს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი საინიციატივო ჯგუფი ან პირი, ხოლო სამაგისტრო პროგრამის შემუშავება ხდება რექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირის ან პირთა ჯგუფის მიერ.
2. სამაგისტრო პროგრამას ხელმძღვანელობს (თანახელმძღვანელობს) ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ფაკულტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.
3. სამაგისტრო პროგრამას და პროგრამის ხელმძღვანელის (თანახელმძღვანელის) კანდიდატურას ფაკულტეტის საბჭო განსახილველად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს. აკადემიური საბჭოს დადებითი დასკვნის შემთხვევაში სამაგისტრო პროგრამას და პროგრამის ხელმძღვანელს (თანახელმძღვანელს) ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე - რექტორი და გამოსცემს ბრძანებას.
4. თუ სამაგისტრო თემის ხელმძღვანელი ან თანახელმძღვანელი, გარკვეული აუცილებლობით არის სხვა საგანმანათლებლო დაწესებულების წევრი, ასეთ შემთხვევაში მასთან იდება ხელშეკრულება სამაგისტრო თემის ხელმძღვანელობის, ან თანახელმღვანელობის შესახებ.
5. სამაგისტრო პროგრამას თან უნდა ერთვოდეს სამაგისტრო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო კურსების სილაბუსები.
6. სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში შეიძლება მონაწილეობდეს:

ა. პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ- პროფესორი, ასისტენტი;

ბ. პარტნიორი სასწავლო ან სამეცნიერო დაწესებულების მეცნიერი;

გ. სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი აკადემიური ხარისხის მქონე მოწვეული სპეციალისტი.

7. სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი (თანახელმძღვანელი) უზრუნველყოფს სამაგისტრო პროგრამის, სასწავლო და კვლევითი კომპონენტების განხორციელებაზე კონტროლს.
8. სამაგისტრო პროგრამა უნდა მოიცავდეს: ა. სამაგისტრო პროგრამის დასახელებას; ბ. მისანიჭებელ აკადემიურ ხარისხს;

გ. ინფორმაციას (CV) სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ის შესახებ;

დ. სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათებას (სამაგისტრო პროგრამის მიზანი და აქტუალობა, მოსალოდნელი შედეგები, პროგრამის დასრულების შემდეგ

კურსდამთავრებულის დარგობრივი კვალიფიკაცია, ცოდნა, კომპეტენცია და უნარ-ჩვევები, დასაქმების სფეროები);

ე. სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობებს; ვ. სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურას;

ზ. პროგრამაში ჩართული ყველა სასწავლო კურსის/მოდულის სილაბუსს.

მუხლი 10. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა

1. მაგისტრატურაში სწავლა მიმდინარეობს სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში.
2. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 60 კრედიტს ან არანაკლებ 120 კრედიტს, რომელიც აერთიანებს მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ 60-კრედიტიან ნაწილებმაგისტრატურაში სასწავლო წელი აგებულია 2 სემესტრიანი პრინციპით.
3. სასწავლო კომპონენტების შეფასების ფორმები და კრიტერიუმები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში, ხოლო პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტის შეფასების ფორმები და კრიტერიუმები განისაზღვრება წინამდებარე დებულებით.

თავი IV
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი

მუხლი 11. პრაქტიკის მიზნები

1. პრაქტიკის მიზანია:

ა) სტუდენტის მიერ უშუალოდ საწარმოს საქმიანობის დაუფლება და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება;

ბ) უნივერსიტეტში მიღებული ცოდნის განმტკიცებისა და გაფართოების ხელშეწყობა;

გ) თეორიის პრაქტიკასთან მჭიდროდ შერწყმა, ანუ აკადემიური განათლებისა და თეორიის დაკავშირება რეალურ სამყაროსთან/პრაქტიკასთან;

დ) იმ პროცესებში ჩართვა, რომლებიც იოლად მისაღწევი არ არის უნივერსიტეტში (თანამედროვე ტექნოლოგიები, სამუშაო გარემო და საქმიანი ურთიერთობები);

ე) სასწავლო პროცესში შეძენილი და ჩამოყალიბებული კომპეტენციების პრაქტიკაში გამოყენება და ახალი ცოდნისა და კომპეტენციების ათვისება;

ვ) პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბებისა და განვითარების საფუძველზე მომავალი პროფესიული საქმიანობისათვის მომზადება.

2. სპეციალობით მომუშავე მაგისტრანტს უფლება აქვს პრაქტიკა გაიაროს იმ დაწესებულებაში, რომელშიც ის მუშაობს და პრაქტიკით გათვალისწინებული 10 კრედიტი მოპოვებულად ჩაეთვლება იმ შემთხვევაში, თუ ის შეასრულებს სილაბუსით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნას.
3. პრაქტიკის სამუშაო გეგმა, შუალედური და დასკვნითი პრეზენტაციების შეფასების წესი და კრიტერიუმები გაწერილია პრაქტიკის სილაბუსში.

თავი V
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტი

მუხლი 12. კვლევითი კომპონენტის მიზანი და ელემენტები

1. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის მიზანია ჩამოუყალიბოს სტუდენტს შერჩეულ სფეროში კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების, მიღწეული შედეგების წარმოჩენისა და საკუთარი მსჯელობის საჯაროდ არგუმენტირებულად წარმოდგენის უნარი.
2. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის კრედიტული რაოდენობა განისაზღვრება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით

მუხლი 13. სამაგისტრო ნაშრომის თემისა და ხელმძღვანელის შერჩევა

1. სამაგისტრო თემისა და ხელმძღვანელის შერჩევა, შესაბამისი სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში, წარმოებს მაგისტრანტის მიერ სწავლების პირველ სემესტრის დაწყებიდან. სამაგისტრო თემის სათაურისა და ხელმძღვანელის რეგისტრაცია წარმოებს სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელთან.
2. სამაგისტრო თემის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს დოქტორი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე უნივერსიტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი, ასისტენტი ან საგანმანათლებლო პროგრამაში მოწვეული პირი.
3. ერთი და იმავე პირმა შესაძლებელია უხელმძღვანელოს არაუმეტეს 5 სამაგისტრო ნაშრომს/კვლევით კომპონენტს.

მუხლი 14. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობანი:

1. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი ვალდებულია, იქონიოს აქტიური კომუნიკაცია სტუდენტებთან, რომელთა ნაშრომის ხელმძღვანელობაც მას დაევალა. აღნიშნული მოიცავს:

ა) სტუდენტებისთვის ნაშრომის შესრულების წესის გაზიარებას;

ბ) ნაშრომის შესრულების გეგმის შედგენაში დახმარებას და მის ზედამხედველობას;

გ) ნაშრომის შინაარსობრივი და აკადემიური სტილის კორექტირებას/მითითების მიცემას;

დ) ნაშრომის პლაგიატის პროგრამაზე დროულ შემოწმებას;

ე) ნაშრომის საბოლოო სახის და თავისი შეფასების უნივერსიტეტის ადმინისტრაციისათვის დროულად, დადგენილ ვადებში მიწოდებას.

2. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი, ასევე ვალდებულია მიაწოდოს ინფორმაცია სტუდენტებს სამაგისტრო ნაშრომის დაცვის პროცედურებისა და ვადების შესახებ. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს აქვს უფლება, დაესწროს ნაშრომის დაცვის პროცედურას, მაგრამ დაუშვებელია ხელმძღვანელი აფსებდეს საკუთარი

მაგისტრანტის ნაშრომს.

3. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი პლაგიატზე უკვე შემოწმებულ ნაშრომს, რეცენზირებისათვის უგზავნის რეცენზენტებს. სამაგისტრო ნაშრომთან ერთად ხელმძღვანელი აგზავნის „ხელმძღვანელის დასკვნას“, რითაც ადასტურებს ნაშრომის დასრულებას და დასაცავად მზაობას. სამაგისტრო ნაშრომი უნდა იყოს წარმოდგენილი Microsoft Word-ის ფორმატში.
4. ნაშრომის ხელმძღვანელობის პროცესში არსებული პრობლემების შემთხვევაში, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი აცნობებს შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელს, რომელიც ახდენს შესაბამის რეაგირებას.
5. პლაგიატის პროცედურები რეგულირდება უნივერსიტეტის „პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და რეაგირების წესის“ შესაბამისად.
6. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი ვალდებულია მკაცრად დაიცვას თითოეული პროცედურისათვის გაწერილი ვადები.

მუხლი 15. სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ეტაპები

1. სამაგისტრო ნაშრომის შესრულება მოიცავს:

ა) სამაგისტრო ნაშრომის სათაურისა და ხელმძღვანელის შერჩევა-შეთანხმებას; ბ) სამაგისტრო ნაშრომისა და კვლევის გეგმის შედგენას;

გ) ხელმძღვანელთან კონსულტაციებს;

დ) კვლევის დამოუკიდებლად განხორციელებას;

ე) ლიტერატურასთან, სამეცნიერო და სხვა წყაროებთან დამოუკიდებელ მუშაობას; ვ) სამაგისტრო ნაშრომის პირველადი ვერსიის ხელმძღვანელის მიერ განხილვას; ზ) სამაგისტრო ნაშრომის პლაგიატზე შემოწმებას;

თ) სამაგისტრო ნაშრომის რეცენზირებას; ი) სამაგისტრო ნაშრომის საჯაროდ დაცვას.

თავი VI
სამაგისტრო ნაშრომის მომზადება, წარდგენა და დაცვა

მუხლი 16. სამაგისტრო ნაშრომის გეგმა

1. სამაგისტრო ნაშრომის თემის არჩევის შემდეგ მაგისტრანტი და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი ერთობლივად ადგენენ სამაგისტრო ნაშრომის გეგმას.
2. სამაგისტრო ნაშრომის გეგმის შეთანხმების ეტაპზე დასაშვებია სამაგისტრო ნაშრომის სათაურის კორექტირება და დაზუსტება საკვლევი თემისა და კვლევის გეგმიდან გამომდინარე.

მუხლი 17. კონსულტაციები სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელთან

1. მაგისტრანტი უფლებამოსილია მიიღოს კონსულტაციები კვლევის დიზაინსა და სამაგისტრო ნაშრომის შესრულებასთან დაკავშირებული სხვა საკითხების შესახებ,

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელისგან ყოველკვირეულად.

2. მაგისტრანტი და ხელმძღვანელი უფლებამოსილი არიან შეთანხმდნენ კომუნიკაციის სხვა, მათ შორის ელექტრონულ ფორმებზე, რის შესახებ ხელმძღვანელი აცნობებს სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელს.
3. კონსულტაციების ფარგლებში, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი უფლებამოსილია, მაგრამ არ არის ვალდებული, შესთავაზოს მაგისტრანტს კვლევის უკეთესი გეგმა და ლიტერატურული წყაროები, ასევე, დასაბუთებული უარი უთხრას ნაშრომში ისეთი ინფორმაციის გამოყენებაზე რომელსაც არ აქვს სამეცნიერო ხასიათი ან არ არის აქტუალური.
4. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის მხრიდან საკუთარი უფლება-მოვალეობების არშესრულების შემთხვევაში, მაგისტრანტი უფლებამოსილია დასაბუთებული საჩივარი წარუდგინოს სამაგისტრო პრორგამის ხელმძღვანელს.

მუხლი 18. მაგისტრანტის დამოუკიდებელი მუშაობა

1. სამაგისტრო ნაშრომის პირველად დაცვამდე, ხელმძღვანელთან შეთანხმებულ ვადებში, მაგისტრანტი ახორციელებს დამოუკიდებელ კვლევას, ლიტერატურასთან და სამეცნიერო ბაზებთან მუშაობას, ახდენს კვლევის შედეგების დამუშავებას და ნაშრომის ტექსტობრივი ნაწილის მომზადებას.
2. სამაგისტრო ნაშრომზე დამოუკიდებელი მუშაობის პერიოდში, მაგისტრანტი უფლებამოსილია:

ა) გამოიყენოს უნივერსიტეტის სასწავლო სივრცე, საბიბლიოთეკო ბაზისა და კომპიუტერული რესურსების ჩათვლით;

ბ) მიიღოს წვდომა უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებზე;

გ) მოითხოვოს უნივერსიტეტის შუამდგომლობა კონკრეტულ ორგანიზაციაში კვლევის ჩატარებისთვის.

დ) მიიღოს უნივერსიტეტის სხვა აკადემიური პერსონალის კონსულტაცია ინტერდისციპლინარულ კვლევასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ე) მიიღოს კონსულტაცია კვლევაში სამეცნიერო ეთიკის დაცვასთან, პერსონალური მონაცემებისა და სამართლებრივი დაცვის ობიექტად აღიარებულ სხვა ინფორმაციასთან მუშაობის თაობაზე.

3. დამოუკიდებელი კვლევის განხორციელებისას, მაგისტრანტი ვალდებულია დაიცვას სამეცნიერო ეთიკის, პერსონალური მონაცემების დაცვისა და ინფორმაციის სანდოობისა და ობიექტურობის პრინციპები, გამოიყენოს მიღებული ინფორმაცია მხოლოდ სამეცნიერო კვლევის მიზნებისათვის, გაავრცელოს და გამოაქვეყნოს ინფორმაცია მხოლოდ განზოგადებული სახით.
4. სამაგისტრო ნაშრომში მაგისტრანტმა უნდა წარმოაჩინოს, რომ ხელმძღვანელის მეთვალყურეობის ქვეშ მან ჩაატარა დამოუკიდებელი კვლევა, შეძლო პრობლემური საკითხის მეცნიერული მეთოდებით დამუშავება და შედეგების დამაჯერებელი

არგუმენტაციით წარმოდგენა.

მუხლი 19. სამაგისტრო ნაშრომის წარდგენისა და დაცვის ვადები

1. სამაგისტრო ნაშრომის წარდგენისა და დაცვის ვადები მტკიცდება სამაგისტრო თემებთან ერთად ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით.
2. მაგისტრანტი დეკანის მიერ დამტკიცებულ ვადებში უზრუნველყოფს კვლევის გეგმის, მის მიერ შესრულებული სამაგისტრო ნაშრომის პირველადი და საბოლოო ვარიანტის წარდგენას.
3. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი დატკიცებულ ვადებში უზრუნველყოფს მაგისტრანტისათვის რეკომენდაციების მიწოდებას.
4. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის რეკომენდაციაში მიეთითითება:

ა) სამაგისტრო ნაშრომი აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას და მზად არის დაცვისთვის; ბ) სამაგისტრო ნაშრომი აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას, სასურველია კონკრეტული საკითხების უფრო დეტალურ გაშუქება სამაგისტრო ნაშრომის დაცვამდე;

გ) სამაგისტრო ნაშრომი მეტწილად აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას, თუმცა აუცილებელია მისი ნაწილის გადამუშავება;

დ)სამაგისტრო ნაშრომი სრულად ვერ აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას, აუცილებელია მისი მნიშვნელოვანი გადამუშავება;

ე) სამაგისტრო ნაშრომი ვერანაირად ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს, კვლევა არ არის ჩატარებული, ან ნაშრომი წარმოადგენს პლაგიატს.

5. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის დასკვნაში (დასკვნის ფორმა იხ.: დანართი 1) აუცილებელია მიეთითოს:

ა) სამაგისტრო ნაშრომის თემის აქტუალობა; ბ) ნაშრომის მოკლე დახასიათება;

გ) ნაშრომში წარმოდგენილი მეცნიერული სიახლე;

დ) ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება, დასმული საკითხების გადაწყვეტის სისრულე, სიღრმე და ორიგინალურობა, აგრეთვე, მისი შინაარსობრივი შესაბამისობა სამაგისტრო სპეციალობასთან;

6. ამ მუხლის მეოთხე პუნქტის „გ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული რეკომენდაციის მიღებისას სტუდენტი უფლებამოსილია გადაამუშავოს სამაგისტრო ნაშრომი და ხელახლა წარუდგინოს ის ხელმძღვანელს, რეკომენდაციის მიღებიდან არაუგვიანეს ორი კვირის ვადაში.
7. ამ მუხლის მეოთხე პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული რეკომენდაციის მიღებისას სტუდენტი ნაშრომის დაცვაზე წარდგენის შემთხვევაში, ვალდებულია გააქარწყლოს და დაასაბუთოს ხელმძღვანელის მიერ გამოთქმული შენიშვნები.
8. ამ მუხლით გათვალისწინებული, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასებები არის სარეკომენდაციო ხასიათის. მაგისტრანტს, საკუთარი შეხედულებებით და პასუხისმგებლობით შეუძლია გაითვალისწინოს ან/და არ გაითვალისწინოს ისინი.
9. გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომის წარდგენის შემდეგ, ნაშრომის ხელმძღვანელი აკეთებს „ხელმძღვანელის დასკვნას“ ნაშრომს შესახებ ერთ-ერთი შემდეგი

გადაწყვეტილებით: ეძლევა რეკომენდაცია დაცვაზე გასასვლელად / არ ეძლევა რეკომენდაცია დაცვაზე გასასვლელად.

10. „ხელმძღვანელის დასკვნა“ შეიძლება გასაჩივრდეს სტუდენტის მიერ შეფასების გასაჩივრებისთვის დადგენილი წესით.

მუხლი 21. სამაგისტრო ნაშრომში აკადემიური პატიოსნების სტანდარტების დაცვა

1. სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას მაგისტრანტი ვალდებულია დაიცვას აკადემიური პატიოსნების ნორმები.
2. უნივერსიტეტი იტოვებს უფლებამოსილებას, სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის თითოეულ ეტაპზე გაატაროს პლაგიატთან ბრძოლის პოლიტიკა, აამოქმედოს აკადემიური პატიოსნების დარღვევისა და ამ დარღვევებზე დისციპლინარული რეაგირების მექანიზმები, როგორც ეს განსაზღვრულია უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსში და განსაკუთრებით მკაცრი ზომები გაატაროს სტუდენტის მიმართ პლაგიატის შემთხვევაში.
3. აკადემიური პატიოსნების დარღვევად მიიჩნევა სამაგისტრო ნაშრომის შესრულების კომპონენტში:

ა) მაგისტრანტის მიერ განზრახ სხვისი ინტელექტუალური შრომის ნაყოფის მითვისება;

ბ) საკუთარი სახელით სხვისი ნამუშევრის ან მისი ნაწილის წარდგენა;

გ) სხვისი ნამუშევრის გამოყენება ციტირების მოთხოვნილი წესის დაცვის გარეშე;

დ) წარმოდგენილ ტექსტში სხვისი ნაშრომიდან სისტყვასიტყვითი ციტირება, სიტყვითი ან წინადადების წყობის ცვლილება, შინაარსის ცვლილების გარეშე;

ე) სხვისი ნამუშევრიდან გამომდინარე დასკვნების მოყვანა წყაროს მითითების გარეშე, ვ) ინფორმაციის გაყალბება ან მისი მცდელობა;

ზ) კვლევის შედეგების განზრახ არასწორი ინტერპრეტირება;

თ) კვლევებისა და დასკვნების დაუსაბუთებელ წყაროებზე დაყრდნობა.

4. ხელმძღვანელის რეკომენდაციის მიღებისა და სტუდენტის მიერ მისი გათვალისწინების ან არ გაათვალისწინების შემდეგ, სამაგისტრო ნაშრომი გადის პლაგიატზე შემოწმებას, ანტიპლაგიატის ელექტრონული პროგრამის საშუალებით.
5. ანტიპლაგიატზე შემოწმების შედეგები ეცნობება სტუდენტს და ასევე, თემის ხელმძღვანელს.

მუხლი 22. სამაგისტრო ნაშრომის რეცენზია

1. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის მხრიდან რეკომენდაციების მიწოდების, სტუდენტის მიერ მასზე რეაგირებისა და ნაშრომის ლაგიატზე შემოწმების შემდეგ, სამაგისტრო ნაშრომი იგზავნება რეცენზიისთვის.
2. სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტის შერჩევა ხდება პროგრამის ხელმძღვანელის რეკომენდაციის საფუძველზე.
3. ინფორმაცია სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტის შესახებ არ არის ცნობილი

მაგისტრანტისთვის და მისი ხელმძღვანელისთვის რეცენზიის წარდგენამდე.

4. სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტი დამოუკიდებლად ამოწმებს წარმოდგენილ ნაშრომს დადგენილ ვადებში, რის შედეგად უგზავნის მას პროგრამის ხელმძღვანელს, ერთ-ერთი შემდეგი შეფასებით: ეძლევა რეკომენდაცია დაცვაზე გასასვლელად / არ ეძლევა რეკომენდაცია დაცვაზე გასასვლელად.
5. სამაგისტრო ნაშრომის რეცენზიაში აუცილებლად უნდა იყოს წარმოჩენილი: ა) სარეცენზიო ნაშრომის დადებითი მხარე და ღირსებები;

ბ) შენიშვნები, რომლებიც გაუჩნდება რეცენზენტს. შენიშვნები უნდა იყოს არგუმენტირებული და შესაძლებელია კითხვის სახითაც დასმული.

6. რეცენზენტის შეფასება გათვალისწინებული იქნება სამაგისტრო ნაშრომის შეფასებაში.
7. რეცენზენტის შეფასებას მაგისტრანტი პასუხობს ნაშრომის საჯარო დაცვის პროცესში

- ეთანხმება ან არ ეთანხმება და იცავს საკუთარ აზრს.

მუხლი 23. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა

1. სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე, რექტორის ბრძანებით იქმნება სამაგისტრო ნაშრომების დაცვის კომისია (შემდგომში - კომისია), თითოეული სპეციალობის მიხედვით.
2. კომისიის შემადგენლობაში შეიძლება შეყვანილ იქნან:

ა) ფაკულტეტის დეკანი - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე; ბ) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;

გ) მოცემული მიმართულების აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები.

3. პროგრამის ხელმძღვანელი კომისიას წერილობით წარუდგენს მოცემული სპეციალობის იმ სტუდენტთა ნუსხას, რომელთაც საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნათა შესრულების (სამაგისტრო ნაშრომის დადგენილ ვადაში ხელმძღვანელისა და რეცენზენტის შეფასებების და პლაგიატზე შემოწმების შედეგების) საფუძველზე მოიპოვეს სამაგისტრო ნაშრომის საჯაროდ დაცვის უფლება.
4. მაგისტრანტის მიერ ამ წესის მოთხოვნების დაცვით სრულყოფილად გაფორმებული სამაგისტრო ნაშრომის ელექტრონული ვერსია, ხელმძღვანელის დასკვნისა და რეცენზიის თანხლებით წარედგინება კომისიას.
5. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა მიმდინარეობს სამაგისტრო ნაშრომის შესახებ 15-20 წუთიანი პრეზენტაციის წარმოდგენის, ზეპირად და ვიზუალური თვალსაჩინოების გამოყენებით, კომისიის წევრებისა და რეცენზენტის, ასევე, კომისიის ნებართვით, დამსწრე აუდიტორიის კითხვებზე პასუხის გაცემის ფორმატით.
6. მაგისტრანტის მოხსენებაში მოკლედ და მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული და მითითებული სამაგისტრო ნაშრომის მიზნები, ამოცანები, არსებული მოსაზრებები დასმული პრობლემის შესახებ. უფრო ვრცლად უნდა იქნეს წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს ანალიზი. ბოლოს, კონკრეტულად ჩამოყალიბდეს მიღებული დასკვნები, მათი თეორიული მნიშვნელობა და პრაქტიკული ღირებულება.
7. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხდება საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ენაზე.

8. მაგისტრანტის მიერ წარმოდგენილი პრეზენტაციის შემდეგ, კომისია წარმოადგენს ხელმძღვანელის შეფასებასა და რეცენზენტის დასკვნას სამაგისტრო ნაშრომის თაობაზე.
9. მაგისტრანტი გამოთქვამს თავის მოსაზრებას შენიშვნებისა და რეკომენდაციების ირგვლივ. შემდეგ იმართება დისკუსია, რომელშიც კომისიის წევრებთან ერთად მონაწილეობას იღებენ დაინტერესებული პირები დამსწრე საზოგადოებიდან.

მუხლი 24. კომისიის გადაწყვეტილება

1. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის პროცედურის დასრულების შემდეგ კომისიის დახურულ სხდომაზე კომისიის თითოეული წევრი აფასებს თითოეული მაგისტრანტის სამაგისტრო ნაშრომს და ამ ნაშრომის პრეზენტაციას.
2. სამაგისტრო ნაშრომის დასკვნითი შეფასება წარმოადგენს კომისიის თითოეული წევრის მიერ მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულს და ხორციელდება დანართში მოცემული კრიტერიუმების საფუძველზე (შეფასების ფორმა იხ.: დანართი 2).
3. შეფასების დროს ყურადღება ექცევა სამაგისტრო ნაშრომის შემდეგ კომპონენტებს: ა) აქტუალობა;

ბ) კვლევის პრაქტიკული და/ან თეორიული მნიშვნელობა; გ) სიახლე;

დ) საკვლევი პრობლემის ანალიზის სიღრმე და დასკვნების ორიგინალობა;

ე) კვლევის შედეგების დამაჯერებლობა (ექსპერიმენტის/მონაცემების სტატისტიკური დამუშავება, ლოგიკური მსჯელობა);

ვ) დაცვისას მასალის პრეზენტაცია (ლოგიკური მსჯელობა, პრეზენტაციის სტრუქტურა, მკაფიო მეტყველება, ნაშრომის ძირითადი დებულებების წარმოდგენა და ა.შ.);

ზ) დაცვის პროცესში კითხვებზე ადეკვატური პასუხების გაცემა, საკუთარი პოზიციის დასაბუთება, ტერმინოლოგიის ფლობა;

თ) დაცვისას გამოყენებული თვალსაჩინოების ეფექტურობა.

მუხლი 25. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება

1. სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად - დასკვნითი შეფასებით, 100 ქულიანი სისტემით.

2. შეფასების სისტემით გათვალისწინებულია:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა; ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური

შეფასების 40 ქულა და ნაკლები.

3. სამაგისტრო ნაშრომისათვის ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო ამავე პუნქტის „ბ.ბ“ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე სამაგისტრო ნაშრომის მომდევნო სემესტრში წარდგენის უფლებას.
4. სამაგისტრო ნაშრომში მიღებული შეფასება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო განაცხადით.

მუხლი 26. აპელაცია

1. შეფასების მიმართ პრეტენზიის მქონე მაგისტრანტი უფლებამოსილია გააკეთოს საპრეტენზიო განაცხადი იქვე, შეფასებაზე ინფორმაციის მიღებისთანავე.
2. საპრეტენზიო განაცხადის განხილვის შემთხვევაში, მაგისტრანტი უფლებამოსილია შეხვდეს კომისიას, ხელმძღვანელს ან/და რეცენზენტს, მისთვის მიუღებელი შედეგის განხილვის მიზნით.
3. მაგისტრანტი უფლებამოსილია შეიტანოს სააპელაციო განაცხადი მის შეფასებაზე, შედეგების განხილვიდან 5 დღის ვადაში.
4. მაგისტრანტის აპელაცია უნდა იყოს დასაბუთებული.
5. აპელაციის პირველად განხილვას ახორციელებს უნივერსიტეტი პროგრამის ხელმძღვანელის მონაწილეობით.
6. დაუსაბუთებელი აპელაცია უბრუნდება განმცხადებელს.
7. დასაბუთებული აპელაციის შემთხვევაში, სააპელაციო განაცხადი განსახილველად გადაეცემა შესაბამისი პროგრამისთვის შექმნილ საპრეტენზიო კომისიას, ფაკულტეტის დეკანის ან პროგრამის ხელმძღვანელის და აღნიშნული პროგრამის სპეციალობის სასწავლო კომპონენტების განმახორციელებელი ორი პირის შემადგენლობით, რომელთაგან არც ერთს არ მიუღია მონაწილეობა მაგისტრანტის პირველად შეფასებაში.
8. საპრეტენზიო კომისია განიხილავს აპელაციას და გადაწყვეტილებას იღებს სააპელაციო საჩივრის მოთხოვნის შესაბამისად.
9. გადაწყვეტილების ფარგლებში კომისია უფლებამოსილია გადახედოს ხელმძღვანელის შეფასებას, შეცვალოს რეცენზენტი ან/და დანიშნოს ნაშრომის ხელახალი დაცვა ან უარი თქვას სააპელაციო განაცხადის დაკმაყოფილებაზე.
10. აპელაციის შედეგები ეცნობება განმცხადებელს და აისახება საპრეტენზიო კომისიის საბოლოო გადაწყვეტილებასა და წარდგინებაში.

მუხლი 27. საავტორო უფლებები სამაგისტრო ნაშრომზე

1. საავტორო უფლებები სამაგისტრო ნაშრომზე ეკუთვნის მის ავტორს.
2. მომიჯნავე უფლებები (მათ შორის ნაშრომის ან მისი ნაწილის დაბეჭდვის,

ბიბლიოთეკაში ან/და ვებ-სივრცეში განთავსების, სამეცნიერო კვლევაში სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის ფარგლებში განხორციელებული კვლევის ანგარიშის ჩართვის და ა.შ.) უფლებები ეკუთვნის უნივერსიტეტს და აღნიშნული უფლებების რეალიზება არ საჭიროებს დამატებით ავტორთან შეთანხმებას.

მუხლი 28. სამაგისტრო ნაშრომები უნდა მოიცავდეს შემდეგ ნაწილებს:

ა) ნაშრომის თავფურცელი;

ბ) ანოტაცია;

გ) სარჩევი;

დ) შესავალი;

ე) ნაშრომის ძირითადი ნაწილი;

ვ) დასკვნა;

ზ) გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა;

თ) დანართები/დამხმარე მაჩვენებლები (არსებობის შემთხვევაში).

მუხლი 29. სამაგისტრო ნაშრომის არქიტექტონიკა:

1. თავფურცელი (სატიტულო გვერდი) შემდეგი წესების დაცვით უნდა შეივსოს:

ა) ზედა ნაწილში უნივერსიტეტის სრული დასახელება - ა(ა)იპ. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი, მას მოსდევს ფაკულტეტის დასახელება (12-იანი ზომის შრიფტით);

ბ) სტუდენტის გვარი და სახელი (14-იანი ზომის შრიფტით);

გ) გვერდის შუა ნაწილში ნაშრომის სათაური (14-იანი ზომის შრიფტით), არ მიეწერება სიტყვა ,,თემა" და სათაური ბრჭყალებში არ ჩაისმება) საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება;

დ) ხელმძღვანელის სახელი, გვარი, სამეცნიერო ხარისხი, აკადემიური თანამდებობა;

ე) გვერდის ქვედა, შუა ნაწილში წარწერა ხიჭაური და ნაშრომის შესრულების წელი (სიტყვა ,,წელი"-ს გარეშე).

ვ) ანოტაცია მოკლედ უნდა ასახავდეს თემის აქტუალობას, მიზნებსა და ამოცანებს, ძირითად შედეგებსა და სიახლეებს. ანოტაცია (ქართულენოვანი) არ უნდა აღემატებოდეს ერთ გვერდს. უნდა შესრულდეს ქართულ და ინგლისურ ენებზე და განთავსდეს თავფურცლის მომდევნო გვერდზე. ინგლისურ ვარიანტში უნდა მიეთითოს ნაშრომის სათაურის ინგლისური თარგმანი, ავტორის გვარი და ინიციალები;

ზ) სარჩევში უნდა მიეთითოს ნაშრომის შესავალი, ყველა თავისა თუ პარაგრაფის დასახელება, ასევე „დასკვნა" და „გამოყენებული ლიტერატურა" გვერდების მინიშნებით;

აბსტრაქტი (მოკლე შინაარსი). ნაშრომს აბსტრაქტი უნდა ახლდეს ქართულ და ინგლისურ ენებზე - 200-250 სიტყვის მოცულობით. აბსტრაქტი უნდა იყოს ინფორმაციული, სტატიის ძირითადი შინაარსის ამსახველი, მოკლედ და გასაგებად უნდა ასახავდეს სამაგისტრო ნაშრომის თემის აქტუალობას, მიზნებსა და ამოცანებს, კვლევის

საგანსა და ობიექტს, ძირითად შედეგებს და სიახლეს. წარმოაჩენდეს მის თეორიულ და პრაქტიკულ მნიშვნელობას. უნდა იყოს სტრუქტურირებული, ე. ი. მისდევდეს სტატიის აგების ლოგიკას. აბსტრაქტში კატეგორიულად უნდა ავიცილოთ თავიდან ზოგადი, არაფრის მთქმელი სიტყვები, რაც მხოლოდ ზრდის ტექსტის მოცულობას, მაგრამ ხელს არ უწყობს ნაშრომის შინაარსის გახსნას. აბსტრაქტის ინგლისურენოვანი ვარიანტი უნდა შეიცავდეს ავტორის ინიციალებს, გვარს, თემის დასახელებას. აბსტრაქტი ერთ გვერდზე უნდა იყოს განთავსებული და წარმოდგენილი თავფურცელის მომდევნო ფურცელზე.

სარჩევი. ასახავს სამაგისტრო ნაშრომის სრული ტექსტის ყველა თავისა და პარაგრაფის ზუსტ დასახელებას თანმიმდევრულად, მათი დასაწყისი გვერდების ნომრების მითითებით მარჯვენა მხარეს. გვერდებს ნუმერაცია უნდა დაეწეროს შინაარსის გვერდის მომდევნო გვერდიდან თავფურცელის, აბსტრაქტისა და შინაარსის გვერდების რაოდენობის გათვალისწინებით.

შესავალი. წარმოადგენს ნაშრომის ზოგად ნაწილს, რომელშიც უნდა აისახოს საკვლევი თემის აქტუალობის დასაბუთება, საკითხის შესწავლის ისტორიოგრაფია (ლიტერატურის მიმოხილვა, გამოყავით რამდენიმე ყველაზე საინტერესო და ორიგინალური ნაშრომი, მათ შორის უკანასკნელი გამოცემები; რეკომენდირებული არ არის დიდი რაოდენობა დამოწმებული ლიტერატურისა, რომელსაც კავშირი არა აქვს თემასთან); საკვლევი საგნისა და პრობლემების ფორმულირება; კვლევის მიზნები, ამოცანები; კვლევისათვის გამოყენებული მეთოდი; კვლევის მოსალოდნელი შედეგები.

მეთოდები: ნაშრომი უნდა იყოს მეთოდოლოგიურად სწორად - თანმიმდევრულად სტრუქტურირებული. უნდა ჩანდეს კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენება. აღწერეთ როგორ შეისწავლეთ დასმული საკითხი და ამის შესახებ მოიყვანეთ ვრცელი ინფორმაცია;

ძირითადი ტექსტი. იგი იყოფა თავებად და პარაგრაფებად, პარაგრაფი შეიძლება დაიყოს ე/წ ქვეპარაგრაფებად და ა.შ. თავები უნდა დაინომროს თანმიმდევრულად და დასახელებებისაგან გამოიყოს წერტილებით. პარაგრაფს წინ დაესმის თავისა და პარაგრაფის ნომრები, რომლებიც ასევე წერტილებით არის ერთმანეთისაგან გამოყოფილი. თავის დასახელება უნდა დაიწეროს 12-იანი ზომის შრიფტით. უნდა მოიცავდეს კვლევის ობიექტს და მეთოდებს. შედეგებს და მათი ინტერპრეტაციას.

დასკვნა - წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომის კვლევის ძირითადი შედეგების ამსახველ ნაწილს, რომელიც მოკლედ და კონკრეტულად პასუხობს ყველა იმ დასმულ ამოცანას, რომელიც მაგისტრანტს გააქვს საჯარო დაცვაზე. დასკვნაში აისახება მიღებული მეცნიერული შედეგების თეორიული მნიშვნელობა, პრაქტიკული ღირებულება და პერსპექტიული გამოყენების სფერო.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა. იგი ნაშრომს ერთვის ბოლოში (დასკვნის შემდგომ). წარმოდგენილი უნდა იყოს ანბანური თანმიმდევრობით (ჯერ მიეთითება გამოცემები ქართულ ენაზე, ხოლო შემდეგ – უცხოურ ენებზე). დაუშვებელია გამოყენებული ლიტერატურის ნუსხაში ისეთი ნაშრომის შეტანა, რომელიც არა არის მოხსენიებული სამაგისტრო ნაშრომში და პირიქით.

გამოყენებული ლიტერატურის, წყაროებისა და სხვა მასალების მითითების წესის

გასაცნობად **იხ.: დანართი 3**.

საილუსტრაციო მასალა - (სურათები, ნახაზები, დიაგრამები, ჰისტოგრამები, ცხრილები და სხვა) უნდა იყოს დანომრილი. საილუსტრაციო მასალის ნუმერაცია შესაბამისობაში უნდა იყოს ტექსტში სათანადო ადგილზე მითითებულ ნუმერაციასთან. ამავე დროს, თითოეულ მათგანს ესაჭიროება განმარტება, თუ რას წარმოადგენს იგი.

მუხლი 30. მოთხოვნები გაფორმების თაობაზე

1. ნაშრომის მოცულობა:

ა) სამაგისტრო - არანაკლებ 50 გვერდისა. ზედა ზღვარი რეგულირდება დარგის სპეციფიკითა და ხელმძღვანელის მოთხოვნის შესაბამისად;

ბ) ტექსტი უნდა აიკრიფოს A-4 ზომის სტანდარტულ ფურცელზე, შრიფტი - ქართული - Sylfaen; ინგლისური - Times New Romans;

გ) ძირითადი ტექსტის შრიფტის ზომა - 12;

დ) სტრიქონებს შორის ინტერვალი - 1,15;

ე) ფურცლის მინდვრები: ყველა ველი 2.54 სმ/1 ინჩი; ვ) დასრულებული სახე - ყდაში აკინძული;

ზ) საკვალიფიკაციო ნაშრომის სრული ელექტრონული ვერსია - CD დისკით.

თავი VII
მაგისტრატურა პარტნიორი უნივერსიტეტის მონაწილეობით

მუხლი 31. შეთანხმება სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაზე

1. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტი უფლებამოსილია საქართველოში აკრედიტებულ უნივერსიტეტებთან ან/და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უნივერსიტეტებთან ერთობლივად განახორციელოს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა.
2. სამაგისტრო პროგრამის განხორციელება პარტნიორი უნივერსიტეტის მონაწილეობით წესრიგდება ამ უნივერსიტეტთან დადებული ხელშეკრულებით თანამშრომლობისა და ერთობლივი მაგისტრატურის განხორციელების შესახებ.
3. უნივერსიტეტთაშორისი სამაგისტრო პროგრამის ფორმებია:
   ა) ერთობლივი სწავლების ორგანიზება;
   ბ) მაგისტრანტის თანახელმძღვანელობა; გ) ერთობლივი ხარისხის მინიჭება.
3. სამაგისტრო საფეხურზე მყოფი სტუდენტი უფლებამოსილია ჩაერთოს სხვადასხვა აქტიობებში, მათ შორის აქტიური მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის შიდა, ასევე უნივერსიტეტის გარეთ დაგეგმილ ყველა სახის სამეცნიერო კონფერენციებში, კვლევითი თუ სხვა სახის ღონისძიებებში. ამ მიზნით სტუდენტი წარმოადგენს წინადადებებსა და მოსაზრებებს. უნივერსიტეტი მეთოდურ და შესაძლებლობის

ფარგლებში ფინანსურ დახმარებას გაუწევს სტუდენტს შიდა და გარე აქტიობებში.

მუხლი 32. განცხადება მაგისტრატურაში ჩარიცხვის შესახებ.

1. პარტნიორი უნივერსიტეტის მონაწილეობის შემთხვევაში მაგისტრატურაში ჩარიცხვის კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს ორივე უნივერსიტეტის მაგისტრატურაში მიღების წინაპირობებს, რომელიც განისაზღვრება ხელშეკრულებით ერთობლივი მაგისტრატურის შესახებ.

თავი VIII
გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

მუხლი 33. გარდამავალი დებულებები ამ დებულების ამოქმედებამდე უნივერსიტეტის

მაგისტრატურაში ჩარიცხული მაგისტრანტების მიერ მოპოვებული კრედიტები და შესრულებული სხვა სამუშაოები გადახედვას არ ექვემდებარება.

მუხლი 34. დასკვნითი დებულებები

1. უნივერსიტეტში სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესი რეგულირდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, უმაღლესი განათლების მარეგულირებელი საქართველოში მოქმედი სხვა ნორმატიული აქტებით, უნივერსიტეტის დებულების, უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესისა და წინამდებარე დებულების საფუძველზე.
2. აღნიშნულ დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება რექტორის ბრძანებით.
3. დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების შემთხვევაში.

დანართი 1.

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის დასკვნა

მაგისტრანტის სახელი, გვარი: _____

თემის სათაური: _____

კრიტერიუმი	დიახ /არა	შენიშვნა „არა“-ს შემთხვევაში დაასაბუთეთ.
აქტუალობა/სიახლე		
პრაქტიკული მნიშვნელობა		
თეორიული მნიშვნელობა		
კვლევის მეთოდოლოგიის შესაბამისობა დასმულ პრობლემასთან		
საკვლევი პრობლემის ანალიზის სიღრმე და დასკვნების ორიგინალობა (აკმაყოფილებს თუ ვერა მაგისტრის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს)		
კვლევის შედეგების დამაჯერებლობა კვლევის შედეგების რელევანტური ინტერპრეტაცია (ლოგიკური მსჯელობა), დასკვნების არგუმენტაცია და შესაბამისობა მიზანთან		
ტასუ-ს მიერ დადგენილ ფორმატთან/ აკადემიურ სტილთან შესაბამისობა		
ლიტერატურის დამუშავების ხარისხი და მრავალფეროვნება (აკმაყოფილებს თუ ვერა მაგისტრის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს)		
ნაშრომის ენა, ტექსტის სტილისტური და გრამატიკული გამართულობა.		

ხელმძღვანელის დასკვნა: ეძლევა რეკომენდაცია დაცვაზე გასასვლელად (დიახ / არა)

ხელწერა: _____ თარიღი: _____

(გარკვევით)

დანართი 2.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასების ფორმა კომისიის წევრის მიერ

სამაგისტრო ნაშრომის სათაური: _____

მაგისტრანტის სახელი გვარი: _____

№	შეფასების კრიტერიუმი	მაქსიმალუ-რი ქულა	კომისიის წევრის შეფასება
1	აქტუალობა/სიახლე	10	
2	კვლევის პრაქტიკული და/ან თეორიული მნიშვნელობა	15	
3	კვლევის მეთოდოლოგიის შესაბამისობა დასმულ პრობლემასთან	10	
4	საკვლევი პრობლემის ანალიზის სიღრმე და დასკვნების ორიგინალობა	15	
5	კვლევის შედეგების დამაჯერებლობა	10	
6	ნაშრომის ტასუ-ს მიერ დადგენილ ფორმატთან/აკადემიურ სტილთან შესაბამისობა	5	
7	გამოყენებული ლიტერატურა	5	
8	პრეზენტაცია (ლოგიკური მსჯელობა, პრეზენტაციის სტრუქტურა, მკაფიო მეტყველება, ნაშრომის ძირითადი დებულებების წარმოდგენა და ა.შ.)	10	
9	კითხვებზე ადეკვატური პასუხების გაცემა, საკუთარი პოზიციის დასაბუთება, ტერმინოლოგიის ფლობა	15	
10	გამოყენებული თვალსაჩინოების ეფექტურობა	5	

კომისიის წევრის ხელწერა: _____
(გარკვევით)

თარიღი: _____

დანართი 3

ა(ა)იპ. საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტში შესრულებული

სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის გაფორმების წესი და ტექნიკური პარამეტრები:

სამეცნიერო ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს ელექტრონული ვერსიით (**Microsoft Word**-ის ფორმატში (.doc გაფართოებით), ქართულ ენაზე შრიფტით **Sylfaen**, ინგლისურ ენაზე შრიფტით **Times New Roman**, სხვა ენებზე უნიკოდის შრიფტებით). ნაშრომი წარმოდგენილი უნდა იყოს A4 ფორმატით; სტრიქონებს შორის ინტერვალი 1,15; შრიფტის ზომა ძირითადი ტექსტი - 12, თავებისა და ქვეთავების დასახელება ტექსტისაგან დაშორებული უნდა იყოს ერთი სტრიქონით და გამოიყოფა მსხვილი შრიფტით (Bold); ოთხივე მხრიდან დატოვებული მინდორი 2,54 სმ.

ნაშრომში ციტირება და ბიბლიოგრაფია გაფორმებული უნდა იყოს APA სტილის მიხედვით. ავტორებმა უნდა გამოიყენონ Microsoft Word-ის ბიბლიოგრაფიის ხელსაწყო (REFERENCES), ან ბიბლიოგრაფიის მენეჯმენტის პროგრამები (მაგ. Mendeley, Zotero, RefMan, Endnote, JabRef).

ლიტერატურის დამოწმების წესი

მითითების სტილი:

ნაშრომში მოტანილი ციტატა ძირითადი ტექსტისგან გამოიყოფა ბრჭყალებით („ “).

ციტირების დასასრულს მრგვალ ფრჩხილებში უნდა დაისვას ინდექსი (ციტატის წარმომავლობა), სადაც მიეთითება ციტირებული ტექსტის ავტორის გვარი ორიგინალ ენაზე, ტექსტის გამოქვეყნების წელი, შემდეგ ორწერტილი და შესაბამისი გვერდი. მაგ.: (თაყაიშვილი, 1920: 23). ნაშრომში ლიტერატურისა და წყაროების მითიტება შეიძლება განხორციელდეს სქოლიოების სახით. ასეტ შემთხვევაში ტექსტში სასვენი ნიშნის გარეთ დაისმება სქოლიოს ნიშანი. სქოლიოს შრიფტის ზომა სტანდარტულად 10-ია.

გაითვალისწინეთ, რომ ყველა წყარო, რომელიც მოყვანილია ტექსტში, ასევე მითითებული უნდა იყოს გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალშიც და პირიქით. გამოუქვეყნებელ ან ხელნაწერის უფლებით არსებულ მასალებს ბოლოში ეთითება სადაა დაცული (მაგალითად: დაცულია ავტორის პირად არქივში ხელნაწერის სახით). თუ ნაშრომში გამოყენებული მასალა ბეჭდვის, ანუ გამოქვეყნების პროცესშია, ასეთ შემთვევაში მიეთითება - „ბეჭდვაშია“ , რაც ნიშნავს, რომ ნაშრომი გამოსაქვეყნებლად მიღებულია.

გამოყენებული ლიტერატურის და წყაროების მითითება:

წიგნი ერთი ავტორით –

კეკელიძე, კ. (1987). ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია (V-XVIII სს.). თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

Успенский, Ф. (2001). *История Византийской Империи*. т. 2, М.: изд. «Наука». Sayse, A. H. (1882). *The Cuneiform Inscriptions of Van*, part 7, JRAS 14.

წიგნი ორი ან მეტი ავტორით –

მეფისაშვილი, რ. თუმანიშვილი, დ., (1989). ბანას ტაძარი. თბ.: გამომცემლობა „მერანი“.

წიგნი ავტორის გარეშე (რედაქტირებული ან შედგენილი) -

ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. (1897). შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ. წ. 2, ტფ.

სტატია ჟურნალიდან, კრებულიდან ან გაზეთიდან –

შანიძე, აკ. (1962). ბასილი ეზოსმოძღვრის ისტორიული თხზულების ერთი შერყვნილი ადგილის გამართვისათვის. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. ტ. 99.

საგაზეთო სტატია ავტორისა და სათაურის გარეშე – გაზეთი „ივერია“. (1897). №2, ტფილისი. საენციკლოპედიო ან ქრესტომათიული სტატია – შოშიაშვილი, ნ. (1975). აბუსერისძენი. ქსე. ტ. 1, თბ.

Силогава, В. (2001). Анисская Эпархия. *Православная Энциклопедия.* т. II, М.

საისტორიო წყარო –

ბასილი ეზოსმოძღვარი. (1959). ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი. ქართლის ცხოვრება. ტ. II. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ.: გამომცემლობა „მერანი“.)

ხელნაწერთა აღწერილობა –

A ფონდის აღწერილობა. (1973). ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის *(A)* კოლექციის. ტ. II. ელ. მეტრეველის რედაქციით. თბ.

ერთი ავტორის ერთსა და იმავე წელს გამოცემული რამდენიმე წიგნი- კაკაბაძე, ს. (1921)ა. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. წ. 1. ტფ. კაკაბაძე, ს. (1921)ბ. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. წ. 2. ტფ.

ციფრული წიგნის დასამოწმებლად იხელმძღვანელეთ ნაბეჭდი წიგნის მითითებისთვის არსებული წესებით. სტანდარტული ელემენტების გარდა ბიბლიოგრაფიაში ინტერნეტში განთავსებული წიგნებისთვის მიუთითეთ URL მისამართი და წვდომის თარიღი. მაგალითად:

ავტორის სახელი გვარი, წელი, სტატიის სათაური, სადაა დაბეჭდილი (კრებული, ჟურნალი), გამოცემის (ტომის) ნომერი და ადგილი: გამომცემელი. შემდგომ URL მისამართი და წვდომის თარიღი.

შესაძლებელია ინტერნეტ წყაროები შევიდეს ლიტერატურისა და წყაროების საერთო ჩამონათვალში ან გაკეთდეს ცალკე ჩამონათვალი (მაგალითად, ლიტერატურისა და

წყაროთა ჩამონათვალის შემდეგ).

ნაშრომში ილუსტრაციების ჩართვის ინსტრუქცია

ილუსტრაციები (სქემები, დიაგრამები, ცხრილები, სურათები, რუკები, ავტოგრაფიული ჩანახატები და სხვ.) წარმოდგენილი უნდა იყოს ტექსტში ჩასმული ან ცალკე დანართის სახით.

ილუსტრაციები უნდა იყოს შემდეგ ფორმატში:

PDF: დიაგრამები, ცხრილები და სქემები.

JPEG: ფერადი და შავ-თეთრი ფოტოსურათი, რუკები; შავ-თეთრი გრაფიკული ნახატი, ავტოგრაფიული ჩანახატი.

ტექსტში გამოყენებული ილუსტრაციები თანმიმდევრულად დაინომრება. თითოეულ ილუსტრაციას უნდა ჰქონდეს წარწერა, ცალკე და არა ილუსტრაციაზე. წარწერა უნდა შეიცავდეს ილუსტრაციის დასახელებას და მოკლე აღწერას;

ილუსტრაციებზე წარწერისათვის გამოიყენეთ **Sylfaen** შრიფტი: შრიფტის ზომა 11.

შესაძლებელია ილუსტრაციები ტექსტში მხოლოდ დაინომროს, ხოლო გამოყენებული ლიტერატურის შემდეგ დაერთოს ჩამონათვალი შესაბამისი განმარტებებით;

თუ ილუსტრაციები (სქემები, დიაგრამები, ცხრილები, სურათები, რუკები, ავტოგრაფიული ჩანახატები და სხვ.) დასკანერებულია წიგნიდან, უნდა მიეთითოს წიგნის სრული დასახელება. ასევე, თუ ილუსტრაცია გადმოღებულია ინტერნეტიდან, უნდა მიეთითოს სრულყოფილად, როგორც ეს მინიშნებულია ლიტერატურის დამოწმების წესში.